



## მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის



KA000060834047920

№ კ-35

03 / თებერვალი / 2020 წ.

# ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

**მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტური პოზიციის თაობაზე მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა ვებგვერდსა და ადმინისტრაციულ შენობაში ინფორმაციის გამოქვეყნების შესახებ**

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ“ 47-ე მუხლის პირველი, მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 48-ე მუხლის პირველი პუნქტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ზედამხედველობის განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თამუნა კვიციანიშვილის პირადი განცხადების (N207, 31.01.2020წ.) საფუძველზე,

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ე:

1. მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების III რანგის მე-3 კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ პოზიციაზე გადაყვანის მსურველი მოხელის გამოსავლენად, გამოქვეყნებულ იქნეს ინფორმაცია მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ვებგვერდზე და მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ შენობაში.
2. განაცხადის წარდგენის ვადად განისაზღვროს 2 სამუშაო დღე.
3. ბრძანება ძალაშია გაცნობისთანავე.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან 1 (ერთი) თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში (მის.: ქ.მცხეთა, სამხედროს ქ.#17).

მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი

ხელმოწერილია/  
შტამგდასმულია  
ელმფთრონულად

გივი გიუტაშვილი